ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2366595

ნომერი: AR1365921

თარიღი : 22.12.2015

გაცემის თარიღი : 29.12.2015

გაცნობის თარიღი : 29.12.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი. გლდანი, დიღმის გზის მიმდებარე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიადი კვეზერელი პ/ნ 13001016761
- გურჯაანი ერეკლე II ქ. N 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1365921 განცხადება,რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული საკადასტრო ერთეული უშუალოდ ემიჯნება იმ სატრანსპორტო კვანძს, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება შესაძლოა დაიწყოს უახლოეს მომავალში, მოცემული ტერიტორიის სამშენებლო განვითარება დროებით შეჩერებულია. საკითხის განხილვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ დიდი დიღომი, გლდანისა და ბელიაშვილის ქუჩების შემაერთებელი კვანძის პროექტის დამუშავების შემდგომ, რომლის ფარგლებში შესაძლოა განხორციელდეს არსებული რეგისტრაციების ადგილმდებარეობის ან კონფიგურაციის ცვლილება. შესაბამისად სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს აღნიშნული საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო განვითარების საკითხი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.